ხელშეკრულება
საზელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01 / 10 / 101
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი 4 მაისი, 2011წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლაშა მერაბიშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „იუ-ჯი-თი" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის ერმილე ხულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში-შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2. საქონლის შესყიდვა გულისხმობს რუსთავში იუსტიციის სახლის საჭიროებისათვის, 4 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვას.

1.3. შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკის საიდენტიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 12428.00 (თორმეტი ათას ოთხას ოცდარვა) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2011 წლის 30 მაისის ჩათვლით არსებული პერიოდის განმავლობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემთხვევაში. წინასწარ გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 80%-ს. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით მაინც უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

5.4. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- შესაბამისი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფსკრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტები წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთების ან შეცვლის გზით.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

VIII. გარანტია

8.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული პროდუქციის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 1 (ერთი) წელს.

8.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 45 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ 8.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

9.3 ხელშეკრულების მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ

ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0,3 პროცენტის ოდენობით.

9.5 თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: საომარი მოქმედებები, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძერა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ან აშკარაა რომ გაგრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებში ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა დასაშვებია მისი 10 პროცენტის ფარგლებში.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 4 მაისიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

XIII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ყოველ ხელმომწერ მხარესთან ინახება ერთი ეგზემპლარი. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი ორგანიზაცია:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლაშა მერაბიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2
საბანკორეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ა/ა№008609114, ბ/კ №220101502, ს/კ №2022[illegible]

შესყიდვების სამსახურის უფროსი ლ. მერაბიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-ოი"
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ერმილე სულაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №17ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ა/ა№033467065, ბ/კBAGAGE22, ს/კ№204892964

დირექტორი ე. სულაძე

UGT
Your IT Solutions

ჭავჭავაძის გმზ. 17ა
თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 32 22 05 05, ფაქსი: +995 32 22 02 06

12/3/1977
თარიღი: 4/18/2011
ვის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

კომპიუტერული ტექნიკა

#	პროდუქტის აღწერა	რა-ბა	ერთ. ფასი	სულ ფასი	მიწოდება
1	Lenovo C200 All-in-One 18.5", WXGA Display - 4 GB RAM - 250 GB HDD - DVD-Writer - Intel Graphics Media Accelerator 3150 - Wi-Fi - Webcam - Windows 7 Home Premium Product Line: Essential Product Series: C200 Product Model: 40253GU Product Name: Essential C200 40253GU Desktop Computer Product Type: Desktop Computer Processor & Chipset Number of Processors Install: 1 Processor Manufacturer: Intel Processor Type: Atom Processor Model: D510 Processor Core: Dual-core Processor Speed: 1.66 GHz HyperTransport Speed: Not Applicable 64-bit Processing: Yes Hyper-Threading: Yes Chipset Manufacturer: Intel Chipset Model: NM10 Express Memory Standard Memory: 1 GB Maximum Memory: 4 GB Memory Technology: DDR2 SDRAM Memory Standard: DDR2-667/PC2-5300 Memory Card Reader: Yes Storage Total Hard Drive Capacity: 250 GB Optical Drive Type: DVD-Writer Optical Media Support: DVDR/RW Dual-Layer Media Support: Yes Controllers Controller Type: Serial ATA/300 Display & Graphics Screen Size: 18.5" Screen Type: Active Matrix TFT Color LCD Screen Mode: WXGA Aspect Ratio: 16:9 Screen Resolution: 1366 x 768 Backlight Technology: CCFL TV Card: Not Included Graphics Controller Manufacturer: Intel Graphics Controller Model: Graphics Media Accelerator 3150 Network & Communication Ethernet Technology: Fast Ethernet Wi-Fi: Yes Wi-Fi Standard: IEEE 802.11n Bluetooth: Not Included Built-in Devices Webcam: Yes Software Operating System: Windows 7 Home Premium Operating System Architecture: 32-bit Physical Characteristics Color: Black Case Style: All-in-One Height: 15.13" Width: 18.12"	4	3,107.00 ლარი	12,428.00 ლარი	25 დღე

სულ: 12428.00 ლარი

ფასები მოცემულია ლარში დღგ_ს ჩათვლით.

საგარანტიო პირობები: 1 წელი

ანგარიშსწორების პირობები: 80% წინასწარ, ხოლო დარჩენილი 20% მიღება-ჩაბარების აქტის გამოფმებიდან 10 დღეში

საბანკო რეკვიზიტები
მიმღები ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"_ს ცენტრალური
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: 033467065
მიმღები: შპს "იუ-ჯი-თი"

ვალუტა - ლარი

ერმილე სულაძე